ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

15. 05. 2014. №91

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 13 მაისის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2014 წლის 15 მაისს და დასრულდეს 2014 წლის 5 ივნისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში (მის: ჭავჭავაძის გამზ.№60, IV სართული, ოთახი №423 ტელ: 2 22-74-01), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2014 წლის 6 ივნისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. **გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება**
   - უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
   - უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით ჰიდროლოგი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
   - უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, გარემოს დაცვის მიმართულებით (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
2. **მელიორაციის განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ–მშენებელი, მელიორაციის დარგის მიმართულებით (მაგისტრი, მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
3. **მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.

ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია)